

# რატომ ვითხოვთ სუფთა ჰაერს?

აქტივიზმი და სამართლებრივი ბრძოლა

2022

“გავიგუდეთ” არის სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყო და რომლის მთავარი მიზანი ქ.რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაა. გუნდი თითქმის 3 წლის განმავლობაში საქმიანობას მოხალისეობრივად ახორციელებდა. 2020 წლიდან კი, არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორის მხარდაჭერა მოიპოვა. მათ შორის არის "ღია საზოგადოების ფონდი". ფონდის მხარდაჭერით სამოქალაქო მოძრაობამ „გავიგუდეთ“ 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით განახორციელა პროექტი „კანონმდებლობა სუფთა ჰაერისთვის – აღსრულების მონიტორინგი“. წინამდებარე ანგარიში სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა.

ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

**ავტორები:** თინათინ მალედანი, ქეთი მჭედლიშვილი, ციალა რატიანი

**ფოტოები:** ნიკა ბუბაშვილი

**დიზაინი:** თამარ გარსევანიშვილი

**რედაქტორი:** ანა ჭაბაშვილი

- 📌 გავიგუდეთ/GAVIGUDE
- 🌐 WWW.GAVIGUDET.ORG
- 📺 გავიგუდეთ
- ✉ GAVIGUDET@GMAIL.COM



რუსთავი ინდუსტრიული ქალაქია, სადაც 2021 წელს 270 დღის განმავლობაში ცუდი ან ძალიან ცუდი ჰაერით ვისუნთქეთ.<sup>1</sup>

რუსთავის, როგორც ქალაქის, განვითარებაც მრეწველობის განვითარებას უკავშირდება, თუმცა, ძირითადად, სწორედ სამრეწველო დაბინძურების გამო რუსთავში ყოველდღიურად ირღვევა კონსტიტუციის 29-ე მუხლით მინიჭებული - ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება. შესაბამისად, 130 000 ადამიანი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემოში ცხოვრობს.<sup>2</sup> თუ რუსთავის შემოგარენში მცხოვრებლებსაც გავითვალისწინებთ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება კიდევ უფრო მეტ ადამიანს აზარალებს.

„ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022“-ში აღნიშნულია, რომ ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით (PM) დაბინძურების მთავარ ანთროპოგენურ წყაროს წარმოადგენს მრეწველობის სექტორი, კერძოდ კი ის სამრეწველო ობიექტები, რომლებიც კონცენტრირებულია ძველ რუსთავში.<sup>3</sup>



<sup>1</sup> ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი [www.air.gov.ge](http://www.air.gov.ge), ნანახია 2021 წლის 31 დეკემბერს.  
<sup>2</sup> ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა, საქსტატი, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/-mosakhleoba>  
<sup>3</sup> „ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022“, ნანახია: 31.12.2021 <https://mepa.gov.ge/ge/publicInformation/27987>

ამავე გეგმით, სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ქ.რუსთავში დაფიქსირებულია მყარი ნივთიერებების გაფრქვევის 50 წყარო (აქედან 47 - ძველ, ხოლო 3 - ახალ რუსთავში), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მეტალურგიული, ქიმიური, მინერალური და სხვა სახის სამრეწველო ობიექტია. ამ ობიექტების მიერ გაფრქვეულმა მყარმა ნივთიერებებმა 2019 წელს 14 ათას ტონას გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ამ 14 ათასი ტონიდან, 97% უმსხვილესი დამბინძურებლების გაფრქვევებზე მოდის.<sup>4</sup>

ქალაქში არსებული საწარმოო ობიექტები არ ასრულებენ ჰაერდაცვით მოთხოვნებს, მათ არა აქვთ ფილტრები/აირმტვერდამჭერი მოწყობილობები და სტანდარტების დაცვით გამართული საწარმოო პროცესი, რაც დაადასტურა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა ინსპექტირებებმა და ეს, ფაქტობრივად, ყოველდღიურად დასტურდება ჩვენ მიერ საწარმოო ზონაში განხორციელებული მონიტორინგით. ამასთან, უდიდესი გამოწვევაა სახელმწიფო ზედამხედველობის, კონტროლისა და აღსრულების სისტემის გაუმართაობა.

იმის გამო, რომ ქალაქში ეს პრობლემა, ფაქტობრივად, ყოველთვის არსებობდა, წლების განმავლობაში საწარმოებიდან ამოსული კვამლი თუ თვალის ხილული სხვა დაბინძურება ქალაქის ყოველდღიურობა გახდა. ამას ემატებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ვინაიდან მოსახლეობის ცნობიერების დონე ამ თვალსაზრისით დაბალი იყო, სამწუხაროდ, ეს თემა უყურადღებოდ რჩებოდა. მოძრაობის „გავიგუდეთ“ შექმნა სწორედ იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მოსახლეობამდე მიგვეტანა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია დაბინძურებული ჰაერით სუნთქვას და მათთან ერთად გვებრძოლა ქალაქში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებისა და ჩვენი და ჩვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისთვის. მოძრაობის შექმნიდან სამი წლის შემდგომ მივადინეთ იმას, რომ შევქმენით პლატფორმა, სადაც 15 000 ადამიანს ყოველდღიურად აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს საწარმოო ზონაში არსებულ მდგომარეობას, საინფორმაციო მასალებსა და სიახლეებს ჩვენი საქმიანობის შესახებ. სოციალურ ქსელს მიღმა რუსთავის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა გაიგო და გაიაზრა პრობლემის სიმძიმე და ის, რომ ჰაერის დაბინძურება ყოველი ჩვენგანის პირადი პრობლემაა და ყველას ერთნაირად ეხება და აზიანებს. მათი ნაწილი აქტიურად ჩაერთო გუნდთან ერთად ბრძოლაში და საკითხი ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას და ცდილობს, აუმაღლოს მას ცნობიერების დონე, „გავიგუდეთ“ ჩაერთო „ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022“-ის შემუშავებაში. ეს გეგმა 2020 წლის ოქტომბერში დამტკიცდა და ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული მისი აღსრულების მონიტორინგში.

<sup>4</sup> „ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022“, ნანახია: 31.12.2021 <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/27987>

2021 წელს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ჰაერდაცვითი კანონმდებლობის გაუმჯობესება. მოძრაობამ „გავიგუდეთ“ მოითხოვა ცვლილებების შეტანა ჰაერთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, ჩაერთო მათ განხილვაში და 2021 წლის 2 მარტს პარლამენტმა ეს ცვლილებები დაამტკიცა.

იმისათვის, რომ ამ შედეგებამდე მივსულიყავით, სამი წლის განმავლობაში მრავალი მიმართულებით დაგვჭირდა ბრძოლა, რომელიც მოიცავდა როგორც საპროტესტო აქციებს, ისე მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომას, საწარმოო ზონის მონიტორინგს, საინფორმაციო კამპანიებს, საწარმოების ტექნიკური დოკუმენტების გაცნობას, გამწვანების აქციების ორგანიზებას, ტურებს მოქალაქეებისთვის საწარმოო ზონაში, აქცია-პერფორმანსებს და ა.შ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა, ქალაქში ჰაერის დაბინძურების მხრივ სიტუაცია ფაქტობრივად არ გაუმჯობესებულა, რადგან ჰაერდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება კვლავ უდიდესი გამოწვევაა და საწარმოები ისევ დარღვევებით ფუნქციონირებენ.

## რატომ არის სუფთა ჰაერისთვის ბრძოლა მნიშვნელოვანი?

ზოგადი სტატისტიკა და ზღვრულად დასაშვები ნორმები

ჰაერის დაბინძურება გლობალური პრობლემაა. ჰაერის დაბინძურების დღევანდელი დონის გამო, მსოფლიოში მცხოვრები ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 2.2 წლით მცირდება.<sup>5</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, მსოფლიოში ათიდან ცხრა ადამიანი დაბინძურებულ ჰაერს ისუნთქავს, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 7 მილიონი ადამიანის გარდაცვალების მიზეზია. სწორედ ჰაერის დაბინძურება იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებითა და ფილტვის სიმსივნისგან გამომწვეული დაავადებებით სიკვდილის 1/3-ს. სამწუხაროდ, შემთხვევების 91% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ხდება. ჰაერის დაბინძურების გავლენა ჯანმრთელობაზე თამბაქოს მავნე ეფექტს უტოლდება.<sup>6</sup>

ქ. რუსთავში ჰაერი ძირითადად დაბინძურებულია მყარი ნაწილაკებით (PM). სწორედ ამიტომ სამოქალაქო მოძრაობას „გავიგუდეთ“ მთავარი აქცენტი ამ დაბინძურებლებზე აქვს გაკეთებული. მყარი ნაწილაკები ჰაერის დაბინძურების განსაზღვრისთვის ყველაზე კარგი ინდიკატორია. ისინი უფრო მეტ ადამიანზე ახდენს გავლენას, ვიდრე ნებისმიერი სხვა დაბინძურებლები. მყარი ნაწილაკების უმთავრესი კომპონენტებია: სულფატები, ნიტრატები, ამიაკი, სოდიუმის ქლორიდი, შავი ნახშირბადი, მტვერი და

წყალი. ესაა კომპლექსური ნაერთი, რომელიც შეიცავს ჰაერში დაგროვებულ მყარ და თხევად ნაწილაკებს.<sup>7</sup> ქ.რუსთავში არსებული ავტომატური ფონური სადგური ზომავს ორი სახის მყარ ნაწილაკებს - PM10-სა და PM2.5-ს. მათ შორის განსხვავება ნაწილაკების ზომაშია. PM10 – 10 ან უფრო ნაკლები მიკრონის დიამეტრის ნაწილაკებია, ხოლო PM2.5 – 2.5 მიკრონის ან უფრო ნაკლები დიამეტრის ნაწილაკები. სამწუხაროდ, რაც უფრო მცირეა ნაწილაკის ზომა, მით მეტად სერიოზული შეიძლება იყოს მისგან მიყენებული ზიანი. 10 მიკრონის დიამეტრის მქონე ნაწილაკები აღწევენ ფილტვებში, ხოლო 2.5 მიკრონის დიამეტრის ნაწილაკები ხვდებიან სისხლის მიმოქცევის სისტემაში. დამბინძურებლებისგან ნაადრევი სიკვდილის უდიდესი გამომწვევი სწორედ 2.5 მიკრონის ან უფრო ნაკლები დიამეტრის მქონე ნაწილაკებია, რომლებიც იწვევენ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი გზების დაავადებებს.<sup>8</sup>



მყარ ნაწილაკებს ადამიანის ჯანმრთელობაზე აქვს როგორც მყისიერი, ისე გრძელვადიანი გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ზღვარი, სამწუხაროდ, მყარ ნაწილაკებს ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენა მაშინაც აქვთ, როცა მათი კონცენტრაცია მინიმალურია. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ნორმებს მუდმივად ამკაცრებს, რის მთავარი მიზანიც ის გახლავთ, რომ შესაძლებლობების ფარგლებში მინიმუმამდე დავიყვანოთ მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში. ნორმები 2021

<sup>5</sup> CARRINGTON DAMIAN, "AIR POLLUTION IS SLASHING YEARS OFF THE LIVES OF BILLIONS, REPORT FINDS", THE GUARDIAN, ნანახია 10.01.2022 <https://www.theguardian.com/environment/2021/sep/01/air-pollution-is-slashing-years-off-the-lives-of-billions-report-finds>

<sup>6</sup> WHO, "HOW AIR POLLUTION IS DESTROYING OUR HEALTH", ნანახია 23.12.2021 <https://www.who.int/news-room/spotlight/how-air-pollution-is-destroying-our-health>

<sup>7</sup> WHO, "Ambient (outdoor) Air Pollution", ნანახია 23.12.2021 [https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ambient-\(outdoor\)-air-quality-and-health](https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ambient-(outdoor)-air-quality-and-health)

<sup>8</sup> WHO, "How air pollution is destroying our health", ნანახია 23.12.2021 <https://www.who.int/news-room/spotlight/how-air-pollution-is-destroying-our-health>

წლის სექტემბერში შეიცვალა და PM2.5-ისთვის ყოველწლიური ნორმა 5 მკგ/მ<sup>3</sup>-ს შეადგენს, ხოლო ყოველდღიური - 15 მკგ/მ<sup>3</sup>-ს. რაც შეეხება PM10-ს, მისი ყოველწლიური ნორმა 15 მკგ/მ<sup>3</sup>-ია, ყოველდღიური კი - 45 მკგ/მ<sup>3</sup>. ეს ნიშნავს, რომ PM2.5-ის შემთხვევაში წლიური საშუალო მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 5 მკგ/მ<sup>3</sup>-ს, ხოლო PM10-ის შემთხვევაში კი - 15 მკგ/მ<sup>3</sup>-ს. ევროკავშირის სტანდარტები ამ მხრივ ნაკლებად მკაცრია და PM2.5-ის შემთხვევაში წლიური დასაშვები ნორმა 20 მკგ/მ<sup>3</sup>-ს, ხოლო PM10-ის შემთხვევაში კი 40 მკგ/მ<sup>3</sup>-ს შეადგენს.<sup>9</sup> PM10-ის დღიური ნორმა 50მკგ/მ<sup>3</sup> -ია, თუმცა მისი გადაჭარბება წელიწადში მხოლოდ 35 დღესაა დაშვებული.<sup>10</sup>

გთავაზობთ ზღვრულად დასაშვები ნორმების ცხრილს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის<sup>11</sup> ევროკავშირისა<sup>12</sup> და საქართველოს<sup>13</sup> სტანდარტების მიხედვით:

მაკვე ნივთიერება	საქართველოს კანონმდებლობა	ევროკავშირის კანონმდებლობა	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია	მასაშუალოების პერიოდი
PM 2.5	- 25 მკგ/მ <sup>3</sup> <sup>14</sup>	- 20 მკგ/მ <sup>3</sup> <sup>15</sup>	15 მკგ/მ <sup>3</sup> 5 მკგ/მ <sup>3</sup>	24 სთ 1 წელი
PM 10	50 მკგ/მ <sup>3</sup> 40 მკგ/მ <sup>3</sup>	50 მკგ/მ <sup>3</sup> 40 მკგ/მ <sup>3</sup>	45 მკგ/მ <sup>3</sup> 15 მკგ/მ <sup>3</sup>	24 სთ 1 წელი

აღსანიშნავია, რომ PM10-ის ყოველი 50 მკგ/მ<sup>3</sup>-ით ზრდა 15%-ით ზრდის ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელს. რუსთავეში PM10-ის კონცენტრაციის დონე 300 მკგ/მ<sup>3</sup>-მდეც კი ასულა, რაც 6-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს მეორე ტიპის დიაბეტზე, ქარბონიანობაზე, ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებზე. სიმსივნის კვლევის საერთაშორისო სააგენტომ კი ჰაერის

დაბინძურება, კერძოდ PM2.5, კანცეროგენად - სიმსივნის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა.<sup>16</sup> ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მოსახლეობის 97%-ს უწევს ისეთი ჰაერით სუნთქვა, სადაც მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასაშვებ ზღვარს აღემატება. მხოლოდ ამ ქვეყნებში, 2019 წელს PM2.5-მა 307 000 სიკვდილის შემთხვევა გამოიწვია.<sup>17</sup>

დაბინძურებული ჰაერის გრძელვადიანი შედეგი შეიძლება იყოს გულის შეტევა, არითმია, ასთმა, ფილტვების გაუარესებული მუშაობა. ასევე, ჩინეთში 10 000-ზე მეტი წყვილის კვლევამ აჩვენა, რომ PM2.5-ის კონცენტრაციის ყოველი 10 მიკროგრამით ზრდა ნაყოფიერების 20%-იან კლებასთანაა ასოცირებული.<sup>18</sup> აშშ-ში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით კი, კვლევაში ჩართული ქალები ჰიპერტენზიის (წნევის მატება) პრობლემას უფრო ხშირად უთითებდნენ იმ რეგიონებში, სადაც მყარი შეწონილი ნაწილაკებისა და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაცია - როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად - საშუალოზე მაღალი იყო.<sup>19</sup>

თუმცა, გარდა გრძელვადიანი შედეგებისა, მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის მომატებამ შეიძლება ისეთი მყისიერი შედეგები გამოიწვიოს, როგორცაა თვალის, ყელისა და ფილტვების გაღიზიანება.

ჰაერის დაბინძურება ყველას გვეხება, თუმცა, სამწუხაროდ, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებების მქონე ადამიანები, ბავშვები და ხანდაზმულები კიდევ უფრო მეტად ზარალდებიან. მსოფლიოში 5-18 წლის ასაკის ბავშვების 14%-ს აქვს ასთმა, რომელიც გამომწვეულია ჰაერის დაბინძურებით. ყოველწლიურად 543 000 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი კვდება ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული სასუნთქი გზების დაავადებების გამო. ჰაერის დაბინძურება ბავშვებზე ჯერ კიდევ დაბადებამდე ახდენს გავლენას. ორსული ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, რადგანაც დაბინძურება ჩანასახის ტვინის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.<sup>20</sup>

<sup>9</sup> Right to Clean Air, "Deadlines for compliance with the limit values", ნანახია 23.12.2021 <https://www.right-to-clean-air.eu/en/background/deadlines-for-compliance-with-the-limit-values/>  
<sup>10</sup> European Environment Agency, "Indicator fact sheet signals 2001", ნანახია 23.12.2021 <https://www.eea.europa.eu/data-and-maps/indicators/exposure-to-fine-particles-above/exceedance-days-of-particulate-matter>  
<sup>11</sup> WHO, "Ambient (outdoor) Air Pollution", ნანახია 23.12.2021 [https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ambient-\(outdoor\)-air-quality-and-health](https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ambient-(outdoor)-air-quality-and-health)  
<sup>12</sup> Right to Clean Air, "Deadlines for compliance with the limit values", ნანახია 23.12.2021 <https://www.right-to-clean-air.eu/en/background/deadlines-for-compliance-with-the-limit-values/>  
<sup>13</sup> საქართველოს მთავრობის 383-ე დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277611?publication=0>  
<sup>14</sup> საქართველოს მთავრობის 383-ე დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, 2020 წლისთვის PM 2.5-ის მიზნობრივი მნიშვნელობა შეადგენდა 20 მკგ/მ<sup>3</sup> (დანართი 3) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277611?publication=0>  
<sup>15</sup> 2008/50/EC დირექტივის თანახმად (დანართი XIV), 2020 წლის 1 იანვრიდან PM2.5-ის წლიური დასაშვები ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 20 მკგ/მ<sup>3</sup>

<sup>16</sup> European Environment Agency, "Air pollution: how it affects our health", ნანახია 23.12.2021 <https://www.eea.europa.eu/themes/air/health-impacts-of-air-pollution>  
<sup>17</sup> "Europe's urban population remains at risk due to levels of air pollution known to damage health", European, Environment Agency, ნანახია 23.12.2021 <https://rb.gy/hjzomy>  
<sup>18</sup> Focus on Reproduction, "Ambient air pollution an unignorable risk factor for infertility", ნანახია 26.12.2021 <https://www.focusonreproduction.eu/article/News-in-Reproduction-Air-pollution-China>  
<sup>19</sup> „დაბინძურებული ჰაერი და არტერიული წნევა“, კაქტუსი, ნანახია 26.12.2021 <https://cactus-media.ge/index.php?do=full&id=180>  
<sup>20</sup> WHO, How Air Pollution is Destroying Our Health, ნანახია: 07.01.2022 <https://www.who.int/news-room/spot-light/how-air-pollution-is-destroying-our-health>

## COVID-19 და ჰაერის დაბინძურება

მყარი ნაწილაკები გავლენას ახდენს კოვიდ-19-ის შედეგებზეც. „CARDIOVASCULAR RESEARCH“-ში 26 ოქტომბერს გამოქვეყნებულ კვლევაში ვკითხულობთ, რომ მტვრის მყარი ნაწილაკები მსოფლიოში კოვიდ-19-ით გარდაცვალების რისკს 15%-ით, ხოლო ზოგიერთ რეგიონში (მაგ., აღმოსავლეთ აზიაში) 27%-ით ზრდის.<sup>21</sup> მართალია, ამ ორ ცვლადს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს, მაგრამ ადამიანებს, რომლებსაც მუდმივად, თითქმის მთელი ცხოვრება უხდებათ დაბინძურებულ გარემოში ყოფნა, ამის საფუძველზე ქრონიკული დაავადებები უვითარდებათ. სწორედ ეს დაავადებები წარმოადგენს კოვიდ-19-ის მძიმე გართულებების წინაპირობას. ამერიკელმა მკვლევრებმა კოვიდ-19-სა და ჰაერის დაბინძურებას შორის კავშირის დასადგენად 2038 ზრდასრულის სამედიცინო ისტორია შეისწავლეს. მათ გაითვალისწინეს როგორც მონაწილეების საცხოვრებელი ადგილი, ისე აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამ ადგილებში ჰაერის დაბინძურების შესახებ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ PM 2,5-ის მცირედითმატებაც კი ხანგრძლივ პერიოდში სამჯერ ზრდიდა ჟანგბადის აპარატის საჭიროების შანსს, ხოლო ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანის შანსს კი - ორჯერ.<sup>22</sup>

## ფიზიკური აქტივობა და ჰაერის დაბინძურება

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ფიზიკურ აქტივობას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, სამწუხაროდ, ერთი შეხედვით ისეთ დადებით მოვლენასაც კი, როგორც ღია სივრცეებში ვარჯიშია, დაბინძურებული ჰაერის პირობებში თავისი უკუჩვენება აქვს. ვარჯიშის დროს ადამიანი საშუალოდ 4-ჯერ მეტ ჰაერს ჩაისუნთქავს, ვიდრე მოსვენებულ მდგომარეობაში. რაც უფრო ხშირია ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, მით უფრო მეტი დამბინძურებელი ხვდება ჩვენს ორგანიზმში და, შესაბამისად, იზრდება ჯანმრთელობაზე მათი ზეგავლენის რისკიც. ამას ემატება ისიც, რომ ვარჯიშისას ხშირად ადამიანები ცხვირის ნაცვლად პირით სუნთქავენ, რომელსაც, სამწუხაროდ, დამბინძურებლების გაფილტვრის ფუნქცია არ აქვს. ეს ხელს უწყობს სასუნთქ სისტემაში უფრო მეტი და დიდი ზომის დამბინძურებლების მოხვედრას.<sup>23</sup> სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარმა, დევიდ რაიხლენმა (DAVID RAICHLEN) კოლეგებთან ერთად 2021 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიხედვითაც აქტიური ვარჯიში ჰაერის დაბინძურების დროს ვარჯიშის პოზიტიურ

გავლენას ტვინზე ამცირებდა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფიზიკური აქტივობის დროს მცირდებოდა თავის ტვინის თეთრი ნივთიერების დაზიანება (ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც ძირითადად ნეირონის აქსონებისაგან შედგება). ეს, თავის მხრივ, ტვინის სიტანსალის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. თუმცა ვარჯიშს მაღალი დაბინძურების მქონე არეალში მოვარჯიშებისთვის იგივე სარგებელი არ მოჰყოლია.<sup>24</sup> ის ფაქტი, რომ დაბინძურებული ჰაერი ვარჯიშის დადებით შედეგებს ამცირებს, არ უნდა გახდეს ვარჯიშზე უარის თქმის მიზეზი. არსებობს რიგი რეკომენდაციებისა, რომელთა გათვალისწინებითაც ვარჯიშისგან მაქსიმალურ სარგებელს მიიღებთ. შეეცადეთ, ივარჯიშოთ პარკებსა და სხვა გამწვანებულ ტერიტორიებზე, ისეთ ადგილებში, სადაც გამონაბოლქვი მინიმალურია. ასევე, უმჯობესია, თუ თავიდან აიცილებთ პიკის საათის დროს გზებისა და მანქანების სიახლოვეს, გადატვირთულ ქუჩებზე ვარჯიშს. კარგი იქნება, თუ წინასწარ შეამოწმებთ ამინდს და ჰაერის ხარისხს [WWW.AIR.GOV.GE](http://WWW.AIR.GOV.GE)-ზე. ჰაერის დაბინძურება, როგორც წესი, მზიან, ცხელ დღეებში თავის მაქსიმუმს აღწევს, ხოლო ქარისა და წვიმის შემდეგ - შედარებით სუფთაა. 25

## ფსიქიკური ჯანმრთელობა და ჰაერის დაბინძურება

გარდა ფიზიკურისა, სუფთა ჰაერი ჩვენი მენტალური სიტანსალის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ახალმა კვლევამ „ბავშვობასა და მოზარდობაში ჰაერის დაბინძურების გავლენა ზრდასრულობაში გარდამავალ პერიოდში ფსიქოპათოლოგიის განვითარებაზე“ აჩვენა, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც გადატვირთულ გზებთან ახლოს იზრდებოდნენ, ჰაერის დაბინძურების ფონზე, 18 წლის ასაკში ფსიქიკური დაავადებების მაღალი მაჩვენებლები აქვთ.<sup>26</sup> კვლევაში ჩართულნი იყვნენ პროფესორები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებიდან. მათი თქმით, არსებობს კავშირი ბავშვობაში აზოტის ოქსიდებისა და მყარი ნაწილაკების შემცველობის შესუნთქვასა და ისეთ დარღვევებს შორის, როგორიცაა შფოთვა და დეპრესია. კვლევას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ მკვლევრები ექსპერიმენტში ჩართულ ბავშვებს ზრდის პროცესში აკვირდებოდნენ. იცოდნენ მათი როგორც მენტალური, ისე ფიზიკური ჯანმრთელობის ისტორია, ოჯახური და სოციალური მდგომარეობაც კი. ამიტომ კვლევის შედეგები მთლიანად იყო დამოკიდებული ჰაერის დაბინძურებაზე და სრულიად გამორიცხული იყო ისეთი ფაქტორების არსებობა, როგორიცაა კვლევამდე არსებული მენტალური პრობლემები ან სიღარიბე.

მონაწილეთა ფსიქიკური ჯანმრთელობა 18 წლის ასაკში ათი ძირითადი ფსიქიკური აშლილობის სიმპტომის გამოყენებით შეფასდა, მათ შორისაა ADHD (ყურადღების

<sup>21</sup> Pozzer Andrea, "Regional and global contributions of air pollution to risk of death from COVID-19", ნაწახია 25.12.2021 <https://academic.oup.com/circovasres/article/116/14/2247/5940460>

<sup>22</sup> Pippa Neill, "PM 2.5 is associated with a higher risk of ICU treatment for Covid-19", Air Quality News, ნაწახია 28.12.2021 <https://airqualitynews.com/2021/07/09/pm2-5-is-associated-with-a-higher-risk-of-icu-treatment-for-covid-19/>

<sup>23</sup> "Exercise and air quality: 10 top tips", Breathe (Sheff) 2015 Sep; 11(3): 239-242, ნაწახია 29.12.2021 <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4666455/>

<sup>24</sup> McQuiston Paul, "Outdoor workouts in high-pollution environments may hurt brain health", USC News, ნაწახია 23.12.2021 <https://news.usc.edu/195662/air-pollution-outdoor-workouts/>

<sup>25</sup> "Exercise and air quality: 10 top tips", Breathe (Sheff) 2015 Sep; 11(3): 239-242, ნაწახია 29.12.2021 <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4666455/>

<sup>26</sup> Rowello Lauren, "Air Pollution Exposure in Childhood Linked to Mental Health Concerns at Age 18", ნაწახია 30.12.2021 <https://www.verywellmind.com/air-pollution-negatively-impacts-mental-health-5184979>

დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი), შფოთვა და ალკოჰოლზე დამოკიდებულება. კვლევის მიზანი იყო „გაეზომათ“ ფსიქიკური ჯანმრთელობა ფსიქოპათოლოგიური ფაქტორის, ანუ P-ფაქტორის საშუალებით. მათ, ვისაც P-ფაქტორში შედარებით მაღალი ქულა ჰქონდა, ათი ძირითადი სიმპტომიდან უფრო მეტი გამოამჟღავნეს.

მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მათ, ვისაც უწევს ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც მაღალია აზოტის ოქსიდების კონცენტრაცია, 2.62 ქულით მაღალი P-ფაქტორის ქულა დაუფიქსირდათ, ვიდრე დანარჩენებს. ასევე, მათ, ვისაც უწევს ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც მაღალია მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში, 2.04 ქულით უფრო მაღალი P-ფაქტორის მაჩვენებელი დაუფიქსირდათ, ვიდრე მათ თანატოლებს.<sup>27</sup>

გარდა იმისა, რომ ჰაერის დაბინძურება ბავშვებსა და ზრდასრულებში მათ კოგნიტიურ ფუნქციაზე ახდენს გავლენას, კვლევებით დადგენილია, რომ ის აგრეთვე ზემოქმედებას ახდენს ისეთ დაავადებებზე, როგორცაა პარკინსონი, ალცჰაიმერი და დემენცია. კვლევის თანახმად, 50 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებიც ისეთ ადგილებში ცხოვრობენ, სადაც ჰაერში აზოტის ოქსიდების (NO<sub>x</sub>) უმაღლესი მაჩვენებელია, დემენციის განვითარების 40%-ით გაზრდილი რისკის ქვეშ არიან.<sup>28</sup>

აღმოჩნდა, რომ მენტალური ჯანმრთელობის ცენტრებს უფრო ხშირად ესტუმრებიან ხოლმე იმ დღეებში, როცა მყარი ნაწილაკებით დაბინძურება მაღალია. გარდა ამისა, სიკვდილიანობა, რომელიც მენტალურ და ქვევით დაავადებებთანაა დაკავშირებული, უფრო მაღალია ისეთ დღეებში, როცა გარეთ ბურუსია (HAZE - ატმოსფერული ფენომენი, როცა მტვერი და სხვა მშრალი ნაწილაკები შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს). რამდენიმე კვლევით დადგინდა, რომ თვითმკვლელობის შემთხვევებსა და ჰაერში NO<sub>2</sub>, O<sub>3</sub>, PM, და SO<sub>2</sub> მაღალ დონეს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ხოლო აზოტის ოქსიდებისა (NO<sub>x</sub>) და PM2.5-ის კვარტალთშორისი დიაპაზონის (INTERQUARTILE RANGE) ზრდა იწვევს ფსიქიკური აშლილობების შემთხვევების 18-39%-იან ზრდას.<sup>29</sup> ამერიკასა და დანიაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ნაპოვნია კავშირი დაბინძურებულ ჰაერსა და ისეთ აშლილობებს შორის, როგორცაა: შიზოფრენია, ბიპოლარული და პიროვნული აშლილობები.<sup>30</sup> ჩიკაგოს უნივერსიტეტის მკვლევრების გუნდმა დაადგინა, რომ ბიპოლარული აშლილობის მაჩვენებელი 27%-ით მეტია აშშ-ს იმ ოლქებში, რომლებშიც ჰაერი ყველაზე დაბინძურებულია, ვიდრე იმ ოლქებში, რომლებშიც საუკეთესო ჰაერია. დანიის მონაცემების შესწავლისას კი გამოიკვეთა, რომ ადრეული ბავშვობისას დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედება უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული დეპრესიასთან (50%-იანი ზრდა), შიზოფრენიასა (148%-იანი ზრდა) და პიროვნულ აშლილობებთან (162%-იანი ზრდა).<sup>31</sup>

<sup>27</sup> Campbell Denis, "Study links childhood air pollution exposure to poorer mental health", The Guardian, ნანახია 23.12.2021 <https://www.theguardian.com/environment/2021/apr/28/-study-links-childhood-air-pollution-exposure-to-poorer-mental-health>  
<sup>28</sup> Harvey Fiona, "Air pollution linked to much greater risk of dementia", The Guardian, ნანახია 27.12.2021 <https://www.theguardian.com/environment/2018/sep/18/air-pollution-causes-jump-in-dementia-risk-study-suggests>  
<sup>29</sup> "The impact of air pollution on mental health", Breeze-technologies, ნანახია 28.12.2021 <https://www.breeze-technologies.de/blog/impact-of-air-pollution-on-mental-health/>  
<sup>30</sup> Davis Nicola, "Growing up in air-polluted areas linked to mental health issues", The Guardian, ნანახია 30.12.2021 <https://www.theguardian.com/society/2019/aug/20/growing-up-in-air-polluted-areas-linked-to-mental-health-issues>  
<sup>31</sup> Richards Sarah, "Pollution linked to increase in bipolar disorder and depression", Uchicago News, ნანახია 24.12.2012 <https://news.uchicago.edu/story/pollution-linked-increase-bipolar-disorder-and-depression-study-suggests>

## მყარი ნაწილაკების ზემოქმედება გარემოზე და მწვანე სივრცეების მნიშვნელობა

მყარი ნაწილაკების მაღალი კონცენტრაცია მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე კი არ ახდენს გავლენას, არამედ გარემოზეც.<sup>32</sup> მყარ ნაწილაკებს გარემოზე შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი სახის გავლენა:

1. მშავიანობის მომათება თბიბსა და ნაკადულაებში;
2. ნუბრიციული ბალანსის შეცვლა სანაპირო წყლებსა და დიდი მდინარეების აუზებში;
3. ნიადაგის გამოფითვა;
4. თყიებისა და ფერმერული კულტურების დაზიანება;
5. გავლენის მოხდენა ეკოსისტემების მრავალფეროვნებაზე;
6. ხალის შეწყობა მშავა წვიმების ეფექტისათვის.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქში მწვანე სივრცეების გამრავლება. „გავიგუდეთ“ და რუსთავის მოსახლეობას გააზრებული აქვს, რომ რუსთავში ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარება მხოლოდ დამატებითი მწვანე და რეკრეაციული სივრცეების მოწყობით შეუძლებელია. პირველ რიგში, საჭიროა მოგვარდეს ჰაერის დაბინძურების გამომწვევი ძირითადი მიზეზი და სანარმოებმა იფუნქციონირონ რეგულაციების დაცვით. თუმცა მთავარი პრობლემის მოგვარებასთან ერთად აუცილებელია, ვიზრუნოთ ქალაქის მდგრად გამწვანებაზეც. კვლევები აჩვენებს, რომ მწვანე გარემოს ადამიანის სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არაერთი დადებითი გავლენა აქვს.<sup>33</sup> მათ შორისაა სტრესისა და შფოთვების შემცირება, გაუმჯობესებული კოგნიტიური ფუნქცია, დეპრესიის დაბალი რისკი და, საერთო ჯამში, უკეთესი მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

<sup>32</sup> "Health and Environmental Effects of Particulate Matter (PM)", United States Environmental Protection Agency, ნანახია 23.12.2021 <https://www.epa.gov/pm-pollution/health-and-environmental-effects-particulate-matter-pm>  
<sup>33</sup> Grinde, Bjørn, and Grete G. Patil, "Biophilia: Does Visual Contact with Nature Impact on Health and Well-Being?", International Journal of Environmental Research and Public Health 6, no. 9: 2332-2343. ნანახია 29.12.2021 <https://www.mdpi.com/1660-4601/6/9/2332>



აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში, ერთ აკრზე (დაახლ. 4050 მ<sup>2</sup>) გაშენებულ ხეებს იმდენივე ნახშირორჟანგის შთანთქმა შეუძლიათ, რამდენსაც მანქანა გამოიმუშავებს 11 000 მილის (დაახლ. 17702 კმ) გავლის შემთხვევაში. ასევე, ხეები მხოლოდ ნახშირორჟანგს კი არ შთანთქავენ, არამედ ჟანგბადსაც გამოყოფენ. 50 კვადრატულ ფუტზე (დაახლ. 4.6 მ<sup>2</sup>) გაშენებულ მცენარეებს შეუძლიათ, იმდენი ჟანგბადი გამოიმუშაონ, რამდენიც ოთხწევრიანი ოჯახის საჭიროებებს გასწვდება.<sup>34</sup>

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებლის მწვანე სივრცეებთან სიახლოვე უკავშირდება ძუძუს კიბოს რისკის მნიშვნელოვან კლებას. მაგალითად, მწვანე სივრცის არსებობა საცხოვრებლიდან 100 მეტრის რადიუსში რისკის 45%-იან კლებასთანაა დაკავშირებული.<sup>35</sup>

რაც მთავარია, კვლევებმა აჩვენა, რომ ხეებს შეუძლიათ სხვადასხვა დამბინძურებლებთან ბრძოლა. 212 000 აკრზე (დაახლ. 858 კმ<sup>2</sup>) გაშენებულ პარკში დღიურად ხეებს 48 ფუნტი (დაახლ. 22 კგ) მყარი ნაწილაკების, 9 ფუნტი (დაახლ. 4 კგ) აზოტის დიოქსიდის, ექვსი ფუნტი (დაახლ. 2.7 კგ) გოგირდის დიოქსიდის, ორი ფუნტი (დაახლ. 0.9 კგ) ნახშირბადის მონოქსიდისა და 100 ფუნტი (დაახლ. 45 კგ) ნახშირბადის განეიტრალება შეუძლიათ. ამერიკის შეერთებული შტატების სატყეო სერვისების

<sup>34</sup> "How cities use parks for climate change management", American Planning Association, 2007, ნანახია 24.12.2021

<https://climatechange.lta.org/wp-content/uploads/cct/2019/12/Parks-for-Climate-Change.pdf>

<sup>35</sup> "ძუძუს კიბო და მწვანე სივრცეები", კაქტუსი, 02.09.2019, ნანახია 30.12.2021

<https://cactus-media.ge/index.php?do=full&id=165>

ინფორმაციით, ხე თავისი 50-წლიანი სიცოცხლის განმავლობაში 31 250 დოლარის ღირებულების ჟანგბადს გამოიმუშავებს და 62 000 დოლარის ჰაერის დაბინძურების კონტროლს უზრუნველყოფს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწვანე სივრცეების ზრდა გვეხმარება ატმოსფეროში დამბინძურებლების კონცენტრაციის შემცირებაში. მცენარეების მიერ მყარი ნაწილაკების შთანთქმის პროცესს „მშრალი დალექვა“ (DRY DEPOSITION) ეწოდება. მყარი ნაწილაკები ფოთლებზე მოხვედრის შემდეგ მათ ცვილში ეხვევა და შეინოვება.<sup>36</sup> სწორედ ამიტომ, მყარი ნაწილაკებით დაბინძურებული რუსთავის შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათანადო გამწვანებას და გამწვანებული სივრცეების მოვლა-პატრონობას.

## ჰაერის დაბინძურების ხარჯი

ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯი ტვირთად აწევს მოსახლეობას. მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკას ჰაერის დაბინძურება წელიწადში 5 ტრილიონი აშშ დოლარი უჯდება და ეს რიცხვი მხოლოდ სასუნთქ და გულ-სისხლძარღვთა სისტემების დაავადებებს მოიცავს.<sup>37</sup> მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშში „საქართველო: გზა მწვანე და მედეგი განვითარებისკენ“ აღნიშნულია, რომ ატმოსფერული და შენობის შიდა ჰაერის დაბინძურების ზემოქმედებით საქართველოში ჯანმრთელობაზე დატვირთვის ეკონომიკური ღირებულება 560 მლნ დოლარს უდრის, რაც 2018 წლის მშპ-ს 3% იყო.<sup>38</sup>

ხოლო ომბუდსმენის ანგარიშში „უფლება სუფთა ჰაერზე“ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად ვკითხულობთ, რომ იმ დაავადებების მკურნალობაზე, რომელთაც ინვეზს ცალკეული დამბინძურებლები (NO<sub>2</sub>, SO<sub>2</sub>, CO, O<sub>3</sub>, PM10 და PM2.5), 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუულია 120,050,566 ლარის ხარჯი.<sup>39</sup> შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში კანონის აღსრულება სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესშიც უნდა შედიოდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანზე, რომელიც შეუფასებელია.

<sup>36</sup> „Urban greening is better for citizens and fights climate change“, Apolitical, ნანახია 24.12.2021

<https://apolitical.co/solution-articles/en/is-urban-greening-the-green-transformation-cities-need-to-fight-climate-change>

<sup>37</sup> Carrington Damian, „Air pollution linked to more severe mental illness – study“, The Guardian, ნანახია 29.12.2021

<https://www.theguardian.com/environment/2021/aug/27/air-pollution-linked-to-more-severe-mental-illness-study>

<sup>38</sup> მანანა ქოჩლაძე, „ჰაერის დაბინძურება საქართველოში: ატმოსფერული ჰაერი და შენობის შიდა დაბინძურება“, მწვანე ალტერნატივა, ნანახია 22.12.2021

[https://greenalt.org/blogs/heris-dabindzureba-sakartveloshi/?fbclid=IwAR2pUYYPnJXvCzauk1dQ92abf1jbyWYzblp9QSAe\\_lXCbHBxEq5Yt0JeeuA](https://greenalt.org/blogs/heris-dabindzureba-sakartveloshi/?fbclid=IwAR2pUYYPnJXvCzauk1dQ92abf1jbyWYzblp9QSAe_lXCbHBxEq5Yt0JeeuA)

[https://greenalt.org/blogs/heris-dabindzureba-sakartveloshi/?fbclid=IwAR2pUYYPnJXvCzauk1dQ92abf1jbyWYzblp9QSAe\\_lXCbHBxEq5Yt0JeeuA](https://greenalt.org/blogs/heris-dabindzureba-sakartveloshi/?fbclid=IwAR2pUYYPnJXvCzauk1dQ92abf1jbyWYzblp9QSAe_lXCbHBxEq5Yt0JeeuA)

<sup>39</sup> „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, სპეციალური ანგარიში,

საქართველოს სახალხო დამცველი, 2019, ნანახია 28.12.2021

<https://ombudsman.ge/res/docs/2019040113594483544.pdf>



## კანონმდებლობა

2021 წელს, სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიზანია, როგორც საქართველოში განთავსებული საწარმოების ტექნიკური გამართვა/გადაიარაღება, ისე გაზრდილი სანქციების დაწესება ჰაერის დაბინძურებისთვის.

2021 წლის 2 მარტს საქართველოს კანონში „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (ამოქმედდა 2021 წლის 1-ელი ივნისიდან) შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, 38-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. ამ კანონის დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების მიზნით ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვროს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა. საქმიანობის სუბიექტი დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივ რაოდენობასა და ტემპერატურას განსაზღვრავს უშუალოდ მავნე ნივთიერებების გაფრქვევის იმ წყაროზე (მილში), რომლის მეშვეობითაც იგი ამ კანონის დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს.“

ამ ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ცვლილების მიღება აუცილებელი გახდა, ვინაიდან საქმიანობის სუბიექტების მიერ განხორციელებული თვითმონიტორინგი არ არის ეფექტიანი და ხშირ შემთხვევაში შეიძლება ვერ ასახავდეს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რეალურ მაჩვენებლებს. ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებია, საქმიანობის სუბიექტმა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი განახორციელოს საანგარიშო მეთოდით, რაც გულისხმობს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დადგენას საანგარიშო მეთოდის გამოყენებით და არა ინსტრუმენტული გაზომვების საფუძველზე, როგორც ეს ახალი ცვლილებით არის სავალდებულო. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით, თითქმის ყველა საწარმო ახერხებდა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარედგინა მეტნაკლებად გამართული დოკუმენტაცია და იქმნებოდა წარმოდგენა, თითქოს საწარმოები ნორმების დაცვით ფუნქციონირებდნენ, რაც არ შეესაბამება რეალობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საქმიანობის სუბიექტის მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემთხვევების იდენტიფიცირებას, ასევე, მათ დროულ აღკვეთას და კონკრეტული დაბინძურების ფაქტებზე ადეკვატურ და დროულ რეაგირებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 24 საწარმო (2021 წლის 1-ელი ივნისის N96/01 წერილი, დანართი საწარმოების სია), რომელთაც შეეხება აღნიშნული რეგულაციები.

### ეს საწარმოებია:

#	ორგანიზაციის დასახელება	ობიექტის დასახელება	საქმიანობის სახე
1	შპს „სინათლე“	რუსთავის ობიექტი	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
2	შპს „მაქს იმპორტი“	რუსთავის ობიექტი	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
3	შპს „ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია“	რუსთავის ცემენტის ქარხანა	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება, კლინკერის წარმოება
4	შპს „ჰაიდელბერგცემენტი ჯორჯია“	რუსთავის მშრალი მეთოდის ცემენტის ქარხანა (ყოფილი „ქართული ცემენტი“)	სამშენებლო მასალების წარმოება, კლინკერის წარმოება
5	შპს „კომპოზიტი“		სამშენებლო მასალების წარმოება, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობათა წარმოება, ცემენტის წარმოება
6	შპს „რუსთავი UNIVERSITY“	ცემენტის წარმოების სააქრო (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფუძვით)	სამშენებლო მასალების წარმოება, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოება, ცემენტის წარმოება
7	შპს „მშენებელი 2004“		სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
8	შპს „VIVACEMENT“	ცემენტის ქარხანა	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
9	შპს „სთანდარდ ცემენტი“	„სთანდარდ ცემენტი“	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
10	შპს „3.დ.ლ“	შპს „3დლ“	სამშენებლო მასალების წარმოება, ცემენტის წარმოება
11	შპს „ელბა ექსპორტი“		სამშენებლო მასალების წარმოება, კირის წარმოება
12	შპს „ინდუსტრია კირი“	კირის ქარხანა	სამშენებლო მასალების წარმოება, კირის წარმოება
13	შპს „მრავალი 2008“	რუსთავის ობიექტი	სამშენებლო მასალების წარმოება, გაჯის წარმოება

14	შპს „რვალი-2000“		მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, შავ ლითონთა წარმოება, ლითონის ან/და მეტალოპლასტმასის დამუშავება, ლითონების შედუღება ან/და აირული ჭრა, ხის დამუშავება და ქაღალდის წარმოება, ხის დამუშავება, ხის მეორადი გადამუშავება
15	შპს „რუსთავის ფოლადი“	შპს „რუსთავის ფოლადი“	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ლითონთა გლინვა, შავ ლითონთა წარმოება
16	შპს „ჯაოსთილი“		მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, შავ ლითონთა წარმოება, ლითონთა გლინვა
17	შპს „ფეროვები“	რუსთავის ობიექტი	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება
18	სს „რუსთავის აფოთი“	სს „რუსთავის აფოთი“	ქიმიური მრეწველობა, მინერალური სასუქების წარმოება, აზოტოვანი სასუქების წარმოება
19	შპს „რუსალთის“	ფეროშენადნობთა ქარხანა	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება
20	შპს „ნიკა - 2004“	ფეროშენადნობთა ქარხანა	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება, სამშენებლო მასალების წარმოება, მინერალური ნედლეულის გადამუშავება/დაფქვა/შრობა
21	სს „რუსთავის მეთალურგიული კომპინატი“	ყოფ. შპს „გორბასალი“	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, შავ ლითონთა წარმოება
22	შპს „ჯორჯიან ელთის გრუპი“	ფეროშენადნობთა ქარხანა	მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება
23	შპს „ემან ემიკალ ჯორჯია“	მანგანუმის ოქსიდის წარმოება	ქიმიური მრეწველობა, არაორგანული ნაერთებისა და პიგმენტების წარმოება, არალითონების, ოქსიდების, პეროქსიდების ან სხვა არაორგანული ნივთიერებების წარმოება
24	შპს „ჯაოფეროვთალი“		მეტალურგიული წარმოება, შავი მეტალურგია, ფეროშენადნობთა წარმოება

ცვლილებები შევიდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ (საქართველოს 2021 წლის 2 მარტის კანონი №249 –12.03.2021წ.) - დაემატა ახალი მუხლი და, ასევე, გაიზარდა სანქციები ისეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, როგორცაა:

1. მუხლი 76<sup>1</sup>. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობა.

ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №192 დადგენილებით, ცვლილება შევიდა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებაში „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“<sup>40</sup> ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 მაისის №2-740 ბრძანებით დამტკიცდა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქცია.<sup>41</sup>

მენარმეების თქმით, დრო რომელიც მათ მიეცათ კანონის მოთხოვნის ამოქმედებამდე (2021 წლის 1-ელი ივნისი), იმისათვის, რომ შეეძინათ და დაემონტაჟებინათ ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად გაზომვის მოწყობილობა (ე.წ. თვითმზომი) არ იყო საკმარისი, ვინაიდან კანონის ამოქმედებამდე მხოლოდ მცირე პერიოდით ადრე დამტკიცდა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საწარმოებმა ე.წ. თვითმზომების შეკვეთის და მონტაჟის შემთხვევაში. თუმცა ამ დროისათვის, კანონის ამოქმედებიდან გასულია 7 თვეზე მეტი, რაც საკმარისი დროა იმისათვის, რომ საწარმოებს მოეძიებინათ ამ ხელსაწყოს მწარმოებლები და შეეკვეთათ ის.

2. მუხლი 77. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა ან მისი უქონლობა, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების

<sup>40</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5159263?publication=0>  
<sup>41</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5172935?publication=0>

დადგენილი ნორმების გადამეტება ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობის გადამეტება.

3. მუხლი 78. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა ან/და ამ მოწყობილობების გაუმართაობა, აღნიშნული მოწყობილობების გამოუყენებლობა ან უქონლობა.

4. მუხლი 79<sup>2</sup>. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (მათ შორის, გარემოსდაცვითი ნებართვის) პირობების ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (მათ შორის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით) გათვალისწინებული პირობების დარღვევა.

5. მუხლი 79<sup>8</sup>. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა.

აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2021 წლის 1-ელი ივნისიდან. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქალაქ რუსთავში მოქმედ არცერთ საწარმოს არ აქვს შესრულებული მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისა და ბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულება. როგორც საწარმოთა უმეტესობა აცხადებს, ამ მიმართულებით მოლაპარაკება დაწყებული აქვთ უცხოელ მომწოდებლებთან. მაგალითად, შპს „ფერო ელოის ფრო-დაქშენმა“ საწარმოში ვიზიტისას გვითხრა, რომ 2022 წლის მარტის ბოლოს უკვე დამონტაჟებული ექნებათ შესაბამისი მოწყობილობა, რომლითაც შეძლებენ გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრას. შპს „რუსელოისის“ წარმომადგენლების თქმით კი, ამ ვალდებულების შესრულებას 2022 წლის მაისისთვის შეძლებენ.

ქალაქ რუსთავში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება რიგ საწარმოებში აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა ან/და ამ მოწყობილობების გაუმართაობა, ამ მოწყობილობების გამოუყენებლობა ან უქონლობა. საწარმოთა ნაწილს აირმტვერდამჭერი მოწყობილობები აქვს, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მათ არ იყენებენ. ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე საწარმოთა ნაწილმა შეიძინა აირმტვერდამჭერი მოწყობილობები, ნაწილმა კი დაამონტაჟა ისინი.



ცვლილებები შევიდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. 2021 წლის 2 მარტს შეტანილი ცვლილებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მნიშვნელოვანი ფუნქციით აღიჭურვა, რომელიც მას აძლევს საშუალებას, საწარმოების მხრიდან კანონის დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „7. თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის (გარდა ნავთობისა, გაზისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღის სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) სფეროში რეგულირების ობიექტი საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტის (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გარეშე ახორციელებს, ან რეგულირების ობიექტის საქმიანობა გარემოს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის და მისი აღმოფხვრა სავალდებულოა, თუმცა ამის დაუყოვნებლივ განხორციელება შეუძლებელია, ან რეგულირების ობიექტის საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ანდა მტკიცებულებებს, დეპარტამენტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების სრულ აღმოფხვრამდე რეგულირების ობიექტისთვის შესაბამისი ქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში დალუქოს ობიექტი, დანადგარი, აგრეგატი, მოწყობილობა, ნივთი). რეგულირების ობიექტისთვის ქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ადმინისტრაციული მიწერილობის სახით და იგი წარედგინება რეგულირების ობიექტს. მისი შესრულება სავალდებულოა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული მიწერილობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას. საქმიანობის შედეგად გარემოსთვის შექმნილი მნიშვნელოვანი საფრთხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დგინდება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევ ცვლილებათა პაკეტი იყო. ყოველი მათგანი 2021 წლის 2 მარტს მიიღო პარლამენტმა, თუმცა თავად „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1-ელ ივლისს, ხოლო ამ კანონის მე-13 მუხლი (გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფა) ამოქმედდება 2023 წლის 1-ელი ივლისიდან. ეს კანონი საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია გარემოსდაცვითი მიმართულებით, რადგან ეფუძნება პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“. ეს კანონი ძირითადად ფოკუსირებულია ბიომრავალფეროვნებაზე, მინასა და წყალზე და, შესაბამისად, ნაკლებად შეეხება ჰაერის დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებულ ზიანს. თუმცა, მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ ჩართულობით, კანონპროექტის თავდაპირველი სამუშაო ვერსია, კონკრეტულად კი მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა გარემოსდაცვითი პროგრამის სახსრების გამოყენებას ატმოსფერული ჰაერისთვის მიყენებული ზიანისთვის, შეიცვალა და დაემატა კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიც (მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაც).

## როდის იგეგმება კანონის რეალურად ამოქმედება?

ქალაქ რუსთავში 2021 წლის 28 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დაჰპირდა დამსწრე საზოგადოებას, რომ 2022 წლის 1-ელი იანვრიდან, ყველა იმ საწარმოს მიმართ, რომლებიც თავის საქმიანობას არ/ვერ წარმართავენ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში, არ ექნებათ აღჭურვილი საწარმოები ე.წ. თვითმზომი მონაცემებით, გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მათ შორის საქმიანობის უფლების შეჩერებას. მინისტრის თქმით: „2022 წლის იანვრიდან ეს იქნება ალბათ გარკვეული ზომიერი ვადა, რომ საწარმოები, რომლებიც არ იქნებიან ნორმებთან შესაბამისობაში, უკიდურესი ზომების წინაშე აღმოჩნდებიან“<sup>42</sup>

ამ დაპირებასთან დაკავშირებით 2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს გავუგზავნეთ წერილი (ასლი გავუგზავნეთ ქ. რუსთავის მერს), რათა გვაცნობონ გეგმა, მექანიზმები და სხვა ღონისძიებები, რომელთა ერთობლივი ამოქმედებით იგეგმება მიზნის მიღწევა; ამ დროს რამდენად იქნება დაცული დასაქმებულთა უფლებები; რამდენად არიან მზად საწარმოები რეგულაციის შესასრულებლად და თუ არის ამის თაობაზე ოფიციალურად მიწერილი საწარმოებისთვის. დღეის მდგომარეობით (2022 წლის 8 იანვარი) პასუხი არ მიგვიღია.

<sup>42</sup> ინფო რუსთავი, „მინისტრს ეკოლოგიურ პრობლემებზე მკაცრი რეაგირებისკენ მოუწოდეს“, ნანახია 07.01.2022 [https://inforustavi.ge/?m=31&news\\_id=25017](https://inforustavi.ge/?m=31&news_id=25017)

## არაორგანიზებული გაფრქვევა

ქალაქ რუსთავში საწარმოების მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დროს ორგანიზაციისა და მოქალაქეების მიერ გაგზავნილ მასალებს და სატელეფონო შეტყობინებებს რუსთავში მდებარე ქარხნების მხრიდან სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის შესახებ, ჩვენი შეფასებით, ყოველთვის არ მოჰყვება სათანადო რეაგირება. სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ გარკვეული პერიოდულობით აწარმოებს საწარმოო ზონის მონიტორინგს და საწარმოების გაფრქვევების ფოტო და ვიდეოგადაღებას, მათ შორის, აფიქსირებს არაორგანიზებული გაფრქვევის ფაქტებს.

2021 წლის 16 სექტემბერს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გავუგზავნეთ განცხადება, რომელსაც თან დავურთეთ 2021 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა. მასალაში ასახული იყო ქალაქ რუსთავში მდებარე საწარმოების მხრიდან შესაძლო არამართლზომიერი გაფრქვევის ფაქტები. განცხადებით ვითხოვდით საკითხის შესწავლას და სამართალდარღვევის ოქმების შედგენას იმ ქარხნების მიმართ, რომელთა მიერ მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გამოფრქვევა ასახული იყო ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალებში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ჩვენს განცხადებასა და წარდგენილ ფოტო და ვიდეომასალაზე დაყრდნობით შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2022 წლის 22 დეკემბერს სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები დაგვიბარეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო პროცესზე, სადაც განვმარტეთ, ვინ, როდის, სად და რა პირობებში გადაიღო და ფოტო და ვიდეომასალა და რა მიზანს ემსახურებოდა მასალების წარდგენა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. ამ ეტაპზე ველოდებით სასამართლოს გადანყვეტილებას, რომელიც გამოვითხოვეთ და მიღებისთანავე საჯაროდ გამოვაქვეყნებთ.

## ვიზიტები საწარმოებში

სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წევრები მიმდინარე წლის დეკემბერში ორი საწარმოს ინციტატივით მიწვეულები ვიყავით საწარმოო პროცესის გასაცნობად, რაც ურთიერთთანამშრომლობის მაგალითია. სუფთა ჰაერი ქალაქ რუსთავში უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოების მიზანი, არამედ მენარმეთა სურვილისა და ძალისხმევის შედეგიც.

სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წევრები 2021 წლის 14 დეკემბერს ვიმყოფებოდით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამბინძურებლის, შპს „რუსელოისის“ საწარმოში, სადაც დავაკვირდით საწარმოო პროცესს. როგორც შეხვედრაზე საწარმოს წარმომადგენლებმა გვითხრეს და ადგილზეც გვიჩვენეს, უკვე ჩამოსულია ახალი ფილტრების ნაწილი, ხოლო ნაწილს ელოდებიან. ვარაუდობენ, რომ 2022 წლის მაისში უკვე ყველა სამუშაო დასრულდება, მათ შორის, დამონტაჟებული იქნება უწყვეტი ინსტრუმენტული გაზომვის მექანიზმი (ე.წ. თვითმზომი) და საწარმოო პროცესი რეგულაციების დაცვით წარიმართება. ასევე, ახალი ფილტრების დაყენების შემდგომ მოგვარდება გამონაბოლქვის მოყავისფრო შეფერილობის პრობლემა, რადგან განსხვავებული წესით მოხდება გამონაბოლქვის გაფილტვრა.

2021 წლის 24 დეკემბერს ვიმყოფებოდით შპს „ფერო ელოის ფროდაქშენში“, სადაც გავეცანით საწარმოს გადაიარაღების შედეგს. წარმოებისას იყენებდნენ აირმტვერ-დამჭერ მოწყობილობებს და, როგორც საწარმოს წარმომადგენლებმა გვითხრეს, ე.წ. თვითმზომი მოწყობილობები შეკვეთილია და ისინი იმედოვნებენ, რომ სამონტაჟო სამუშაოები დასრულდება 2022 წლის მარტის ბოლოს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საწარმო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი დარღვევებით ფუნქციონირებდა, ზემოაღნიშნული ცვლილებები მისასალმებელია.

ჩვენ, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წევრები იმედს ვიტოვებთ, რომ ქალაქ რუსთავში სხვა საწარმოებთანაც მოხერხდება ურთიერთთანამშრომლობა და უახლოეს მომავალში გვექნება დეტალური ინფორმაცია ყველა საწარმოს შესახებ, თუ რა ვადაში შეძლებენ ისინი რეგულაციების სრული დაცვით ამოქმედებას.

## როგელი საწარმოები დაჯარიმდნენ და რა მუხლებით?

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 31 დეკემბრის NDES 1 21 00077680 წერილით მივიღეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2021 წლის 1-ელი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. რუსთავში განთავსებული საწარმოების მიმართ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 761 -ე მუხლის შესაბამისად შედგენილ იქნა 15 ოქმი და მათზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

#	საწარმო	ადგილმდებარეობა	ასპ 76 <sup>1</sup> -ი მუხლი		
			ოქმის №	თარიღი	განხილვის შედეგი/ჯარიმა, ლარი
1	შპს „რუსთავის ფოლადი“	რუსთავი	062977	18.06.2021	15 000

2	შპს „ჯაოსთილი“	რუსთავი	062978	29.06.2021	10 000
3	შპს „რუსალოის“	რუსთავი	064183	30.06.2021	10 000
4	შპს „ჰაიდელბერგხეიმენდ ჯორჯია“	რუსთავი	064144	02.07.2021	10 000
5	შპს „მაქს იმპორტი“	რუსთავი	064275	06.08.2021	10 000
6	შპს „ჯაოფერომეტალი“	რუსთავი	064147	19.07.2021	შენიშვნა
7	შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი“	რუსთავი	064148	19.07.2021	შენიშვნა
8	სს „რუსთავის აზოტი“	რუსთავი	064454	19.07.2021	შენიშვნა
9	შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“	რუსთავი	064186	26.07.2021	შენიშვნა
10	შპს „არესამ კორპ“	რუსთავი	064462	04.08.2021	10 000
11	შპს „ეი-ემ-ბი ალოის“	რუსთავი	064464	04.08.2021	30 000
12	შპს „ვიპახემენტი“	რუსთავი	064269	25.08.2021	შენიშვნა
13	შპს „ელბა ექსპორტი“	რუსთავი	064151	26.08.2021	10 000
14	შპს „მეგა ცემენტი“	რუსთავი	064270	26.08.2021	შენიშვნა
15	შპს „მშენებელი 2004“	რუსთავი	064152	27.08.2021	შენიშვნა

**2021 წლის განმავლობაში რუსთავის საქალაქო სასამართლოდან 2021 წლის 30 დეკემბერს (წერილი N1850 გ) მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა დადგენილებები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შემდეგი მუხლებით:**

მუხლი 79<sup>7</sup>. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება.

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთმა საწარმომ სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, სიმძლავრის გაზრდის მიზნით განახორციელა ტექნოლოგიური ცვლილებები და დაამონტაჟა დამატებით 11 ერთეული ცემენტის საცავი სილოსი და ჩართო ერთიან სისტემაში. 2021 წლის მარტის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 7000 (შვიდი ათასი) ლარით.

მუხლი 79<sup>8</sup>. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთი ფეროშენადნობი ქარხნის მიერ არ სრულდებოდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, კერძოდ: ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვას. აღსანიშნავია, რომ საწარმო ობიექტი არ იყო სრულად დაკომპლექტებული ხანძარსა და სანაღმდეგო ინვენტარით და საშუალებებით. 2021 წლის მარტის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 5000 (ხუთი ათასი) ლარით.

მუხლი 82<sup>1</sup>. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოდგენლობა

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთმა საწარმომ არ შეასრულა ვალდებულება და ელექტრონული სისტემის მეშვეობით არ წარადგინა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის ყოველწლიური სტატისტიკური ფორმა. 2021 წლის აპრილის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 150 (ას ორმოცდაათი) ლარით

მუხლი 79<sup>3</sup>. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთ საწარმოში არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემაკავებელი სისტემა და არ არის მიერთებული ცემენტის ქარხნის საერთო სანიაღვრე საკანალიზაციო ქსელთან, მაშინ, როდესაც მას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის ივლისის მინერლობით ჰქონდა აღნიშნული ვალდებულება. 2021 წლის მარტის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით.

მუხლი 76<sup>1</sup>. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობა

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთი საწარმო არ ასრულებდა მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულებას. 2021 წლის სექტემბრის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 10,000 (ათი ათასი) ლარით.

მუხლი 77. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა ან მისი უქონლობა, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების დადგენილი ნორმების გადამეტება ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობის გადამეტება

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთი საწარმო საქმიანობას ახორციელებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარეშე. შესაბამისად, ასეთი ანგარიში არ წარუდგინა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებს. 2021 წლის სექტემბრის თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 500 (ხუთასი) ლარით.

მუხლი 78. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა ან/და ამ მოწყობილობების გაუმართაობა, აღნიშნული მოწყობილობების გამოუყენებლობა ან უქონლობა

ქალაქ რუსთავში მდებარე ერთ-ერთ ფეროშენადნობ საწარმოში არსებული გამწმენდი სისტემის ექსპლუატაციის წესების დარღვევისა და შესაბამისი მოწყობილობების გაუმართაობის გამო, ფოლადსადნობი ღუმელის წვის პროდუქტებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდებოდა. 2021 წლის აგვისტოს თვეში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საწარმო დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარით.

## სამოხაველო გეგმები

სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ გეგმავს სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას. იანვრის თვეში, იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადადგამს ქმედით ნაბიჯებს, იმისათვის, რომ კანონები შესრულდეს. ჩვენი მხრიდან, ვგეგმავთ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს შევახსენოთ 2021 წლის 28 ოქტომბრის დანაპირები. იმ შემთხვევაში, თუ 2022 წლის იანვარში არ მივიღებთ პასუხს ჩვენს 2021 წლის 7 დეკემბრის წერილზე, მივმართავთ სასამართლოს.

მივმართავთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომ ყველა ის 24 საწარმო, რომელიც ვალდებულია, მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვროს, შემოწმდეს და მათ მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გავაგრძელებთ ყველა იმ ფოტო და ვიდეომასალის გასაჯაროებას, სადაც ასახული იქნება საწარმოების მხრიდან შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტები.

შესაძლებელია, მომზადდეს სარჩელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ, რადგან ეს უწყება ვერ უზრუნველყოფს კანონის მოთხოვნათა დაცვას საწარმოების მხრიდან. სარჩელის მეშვეობით რუსთავში მცხოვრები პირები შეძლებენ მოითხოვონ მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმოქმედობის გამო.





